ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
MUNICIPAL COUNCIL OF KVARELI

წერილის ნომერი: **89-89253436**
თარიღი: **09/12/2025**

ადრესატი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს, ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 49-ე მუხლის თანახმად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოგიდგენთ ანგარიშს:

ა) ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საანგარიშო პერიოდში დღემდე გაცემულია 3 საჯარო ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ბ) საკრებულოს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სხდომის დახურვის შესახებ არ უმსჯელია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ანა უსტიაშვილი, ელ. ფოსტა: anaustiashvili@yahoo.com

გ) ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებობს შემოსული და გასული კორესპონდენციის მონაცემთა ბაზა, ადამიანური რესურსების მართვის ბაზა, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.

დ) საკრებულოში საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი წევრებისათვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ ფაქტს ადგილი არ ჰქონია;

ე) საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ან სხდომის დახურვის შესახებ ფაქტს ადგილი არ ჰქონია;

ვ) საკრებულოს მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ან სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არ დაფიქსირებულა.

ზურაბი ჩხეიძე

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. ყვარელი 4800 კუდიგორის ქ.№1 ტელ: 0 352 22 19 19 ფაქსი 0 352 22 10 12
KVARELI 4800 KUDIGORA STR.N1 TEL: 0 352 22 19 19 FAX:0 352 22 10 12